№2155 2013 წლის 25 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და Peter Harsch Prosthetics, კალიფორნიის კორპორაციას შორის გასაფორმებელი საპროტეზო და სამედიცინო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების პროექტის მოწონების თაობაზე

1. „უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და Peter Harsch Prosthetics, კალიფორნიის კორპორაციას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი პროტეზებისა და თანმდევი საპროტეზო მომსახურების შესახებ.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებელი განხორციელების მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა პროტეზებისა და თანმდევი

საპროტეზო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**